საქართველოს შინაგან საქმეთა
სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო
დაწესებულება – საგანგებო
სიტუაციების მართვის სამსახური

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF
GEORGIA SUBORDINATED STATE
ENTITY – EMERGENCY
MANAGEMENT SERVICE

MIA 6 20 02639694

10/11/2020

სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის
III-IV კლასის შენობა-ნაგებობების სანებართვო განყოფილების
პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს
(განყოფილების უფროსი) ქალბატონ **თეონა ახალაშვილს**

ქალბატონო თეონა,

თქვენი 2020 წლის 6 ნოემბრის N60-01203112574 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ზედამხედველობის დეპარტამენტმა განიხილა ქალაქ თბილისში, წინანდლის ქუჩა N27-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.17.13.001.074) მდებარე საავადმყოფოს შენობის უკანა ფასადზე ერთსართულიანი შესასვლელის მიშენებასთან დაკავშირებით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის შესახებ წარმოდგენილი დაპროექტების დოკუმენტაცია.

განხილვის შედეგად დადგინდა, რომ ვინაიდან საავადმყოფოს შენობებს უნდა გააჩნდეს სახანძრო ავტომობილებისათვის ყველა მხრიდან მისადგომი გზა და დაპროექტების დოკუმენტაციაში არ არის მოცემული ამ მიშენებით მცირდება თუ არა საავადმყოფოს შენობასთან მისადგომი გზის პარამეტრები ან/და იზღუდება თუ არა ყველა მხრიდან მიდგომის შესაძლებლობა, „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობების ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის N255 დადგენილების მე-8 მუხლის პუნქტი 2 „დ.ბ“-ს შესაბამისად, წარმოდგენილი უნდა იქნეს გენგეგმა, არსებული მისასვლელი გზის და მისი პარამეტრების საკითხების ასახვით.

პატივისცემით.

სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო
სიტუაციების მართვის სამსახური /

საქართველო, 0114, თბილისი, ვ. გორგასლის ქ. №83ა
ტელ: (+995 032) 2 41 44 79
ელ. ფოსტა: info@es.gov.ge

№83a, V. Gorgasali str. Tbilisi, 0114, Georgia
Tel: (+995 032 2 41 44 79
E-mail: info@es.gov.ge

ზედამხედველობის დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსი
ვარშანიძე როინ

